ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 285

ქ. თბილისი „13" „ნოემბერი" 2012 წ.

ხელშეკრულების საფუძველია საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი (საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის N 986 განგარგულება)

გამარტივებული შესყიდვა

ერთი მხრივ, სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდი", მისი უფროსის პაატა კილაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორე მხრივ შპს „ალიანსი" მისი დირექტორის თეიმურაზ კანკავას სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დოკუმენტებით რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია დაბა გუდაურში მდებარე, შენობა-ნაგებობათა სარეაბილიტაციო სამუშაოების III ეტაპის სახლი N 9-ს რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა (CPV – 45260000).

2.2 შესასრულებელი სამუშაოების დასახელებები და მახასიათებლები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N 1-ში (ხარჯთაღრიცხვა) და დანართ N 2-ში (სამუშაოების პროექტი).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 108425,4 (ასრვაათას ოთხასოცდახუთი ლარი 40 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. დაფინანსების წყარო: სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდის" საკუთარი შემოსავლები.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1 განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების სრულად შესრულება არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.1.2 სამუშაოები შეასრულოს ხელშეკრულებაში ხარჯთაღრიცხვაში და პროექტში მოცემული პირობებისა და მოცულობების შესაბამისად.

4.1.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
4.1.4 სამუშაოების შესრულებისას გამოიყენოს მაღალი ხარისხის მასალები რომლებიც შეესაბამება ამ სფეროში არსებულ ნორმებს.
4.1.5 უზრუნველყოს უსაფრთხოების ზომების დაცვა და სამუშაოების შესრულებისას იხელმძღვანელოს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით. უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შედეგად გამოწვეულ ნებისიერ ფაქტზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
4.1.6 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
4.2.1 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით;
4.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც სამუშაოების შესრულების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
5.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი შესრულებულ სამუშაოებში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გონივრული ვადის განმავლობაში გამოასწოროს მითითებული ხარვეზები.

6. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესრულებული სამუშაო მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ. სამუშაოების შესრულების პერიოდში შესაძლებელია განხორციელდეს შუალედური მიღება - ჩაბარება. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, „მიმწოდებელი" წარუდგენს „შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოების შესაბამი ღირებულების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში).
6.2. სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდი"-ს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის დამოწმებაზე უფლებამოსილი პირთა ვინაობა განისაზღვრება ცალკე ბრძანებით.
6.3. სამუშაოების ფაქტობრივი დასრულების შემდეგ, მიმწოდებელი წერილობით შეატყობინებს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ, რის შემდეგაც, შესრულებული სამუშაოების შესახებ „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" დასკვნის მომზადებას „შემსყიდველი" უზრუნველყოფს თავისი ხარჯებით, რაც იქნება საფუძველი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი შესრულებულ სამუშაოებზე იძლევა გარანტიას სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რომელი პერიოდის განმავლობაშიც, შესყიდვის ობიექტის დაზიანების შემთხვევაში, გარდა სტიქიური უბედურებების და შემსყიდველის ბრალეულობით გამოწვეული დაზიანებებისა, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს რეაგირება და შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა აღმოფხვრას წარმოქმნილი დაზიანება.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.
8.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შესრულებული სამუშაოების შუალედური ან/და საბოლოო მიღება ჩაბარების შემდეგ, მიღებული სამუშაოების ღირებულების გადახდა განხორციელდება აქტების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზებით გამოწვეული შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.
9.2 თუ სამუშაოების შეფერხება გამოწვეულია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის წარდგენილი სამშენებლო პროექტის ან/და სხვა მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის ტექნიკური ხარვეზისაგან, ზემოაღნიშნული უნდა დადასტურდეს მხარეების მიერ შედგენილი დეფექტური აქტით, რაც შექმნის ხელშეკრულების შესრულების გრაფიკის ცვლილებისა და შესრულების ვადის გაზრდის საფუძველს.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს მაჟორული გარემოების გარდა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადების დარღვევის გამო მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, კერძოდ სამუშაოების შესრულების ვადების 3 დღეზე მეტ ხანს გადაცილების შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.2 ამ ხელშეკრულების მე-7 პუნქტში მითითებული საგარანტიო პირობებში წარმოდგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში რაიმე ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობისას მხარეებმა ურთიერთობა უნდა მოაგვარონ წერილობითი შეტყობინების გზით.
11.2 მიმწოდებლის მოტივირებული წერილის საფუძველზე, შესაძლებელია მხარეებს შორის გაფორმდეს შეთანხმება, რომელითაც მოხდება ხელშეკრულების შესრულების გრაფიკის ან/და ხელშეკრულების სხვა პირობების შეცვლა.
11.3 ხელშეკრულების შესრულების გრაფიკისა და შესრულების ვადების შესაბამისი ცვლილება შესაძლებელია მოხდეს ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობის გაზრდის ან შემცირების შემთხვევაში.
11.4 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
11.5 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდი"

მის: ქ. თბილისი, კოხტავას 33ა

ს.ს „ლიბერთი ბანკი"

კოდი: LBRTGE22

ს/ს № GE63LB0121131932514000

ს/კოდი: 205298211

სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდის" უფროსი

ბაბუ ბაბუაძე

„მიმწოდებელი"

შპს "ალიანსი"

მის: ქ. თბილისი თაბუკაშვილის ქ.№42.

ს.ს. "ვი თი ბი" ბანკი

კოდი: UGEBGE22

ს/ს: № GE46VT6600010999903605

ს/კოდი 204976464

შპს "ალიანსი"-ს დირექტორი

თეიმურაზ ანანიეა

დანართი № 1, 2012 წლის "13 " "ნოემბერი "№285 ხელშეკრულებასთან
სახლის № 9-ს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები

№	ხაფუძველი	სამუშაოს დასახელება	ნორმატიული რესურსი			ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
			განზ.	ერთეულზე	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
	I.სახურავის განახლებ.დამატებითი სამუშაო											
	VI. სახურავის დამატებითი სამუშაოები; დემონტაჟი, რკ/ბეტონის, ლითონ-კონსტრუქციების და ხის კონსტრუქციების მოწყობა											
1	9-11-7. თ -88 3.2.9 კ=0,8	ლითონის ელემენტების დემონტაჟი შრომითი რესურსები 24,6X0,8= მანქანები 0.95X0,8= სხვა ხარჯები	ტონა კაც/სთ ლარი ლარი	 19,680 0,760 2,780	2,02 39,754 1,535 5,616	3,50	139,1376	 3,20	 17,970	3,20	4,91	139,14 4,91 17,97
2	46-23-2	ბეტონის მომტვრევა შრომითი რესურსები მანქანები	კუბ.მ. კაც/სთ ლარი	 13,200 9,630	10,110 133,452 97,359	3,50	467,08			3,20	311,55	467,08 311,55
3	46-23-5 გამოყენებით	ბლოკის კედლების დაშლა შრომითი რესურსები მანქანები (ამწე)	მ3 კაც/სთ ლარი	 4,800 1,100	45,710 219,408 50,281	3,50	767,93			9,00	452,53	767,93 452,53
4	8-15-1.	კედლების წყობა წვრილი ბლოკით შრომითი რესურსები მანქანები ცემენტის ხსნარი "М50" ბლოკი 0,92კუბ.მ. 0,92*0,014= სხვა ხარჯები	კუბ.მ. ცვლი ლარი კუბ.მ. ცვლი ლარი	 65,714 0,920 0,110 65,714 0,160	31,840 2092,34 29,293 3,502 2092,34 5,094	0,60	1255,41	 84,00 1,35 3,20	 294,20 2824,66 16,30	3,20	93,74	1255,41 93,74 294,20 2824,66 16,30
5	6-15-9. საბაზრო	მინ. რ/ბეტონის ხარტაჟები შრომითი რესურსები მანქანები ბეტონი " 20"	კუბ.მ. კუბ.მ. ლარი კუბ.მ.	 1,000 1,060 1,015	9,000 9,000 9,540 9,135	70,00	630,00	 150,00	 1370,25	3,20	30,53	630,00 30,53 1370,25

		ქვლიბის ფარი	კვ.მ.	1,400	12,600			15,50	195,30			195,30
		ქვლიბის ფიცარი IIხ. 40მმ-იანი და მეტი	კუბ.მ.	0,0145	0,131			550,00	71,78			71,78
		ელექტროლი	კგ.	2,5000	22,500			2,80	63,00			63,00
		ა-I კლასის არმატურა	ტონა	პროექტით	0,130			1460,00	189,80			189,80
		ა-III კლასის არმატურა	ტონა	პროექტით	0,660			1470,00	970,20			970,20
		სხვა ხარჯები	ლარი	0,740	6,660			3,20	21,31			21,31
6	9-32-12გამ.	სახურავის ლითონის ელემენტების მონტაჟი	ტონა		4,527							
	საბაზრო	შრომითი რესურსები	ტონა	1,000	4,527	750,00	3395,25					3395,25
		მანქანები	ლარი	18,400	83,297					3,20	266,55	266,55
	გაძვალებით	საავტომობილო ამწე 16 ტონიანი	მ/სთ	0,35	1,584					300,00	475,34	475,34
		ფურცლოვანი ფოლადი -8	ტონა	პროექტით	0,020			1630,0	32,60			32,60
		შველერი №20	ტონა	პროექტით	4,340			1820,0	7898,80			7898,80
		კუთხოვანა 50X5	ტონა	პროექტით	0,100			1580,0	158,00			158,00
		კუთხოვანა 75X6	ტონა	პროექტით	0,067			1580,0	105,86			105,86
		ელექტროლი	კგ	24,4	110,459			2,80	309,28			309,28
		სხვა ხარჯები	ლარი	2,780	12,585			3,20	40,27			40,27
7	6-9-8.	ხასტანებელი დეტ. მოწყობა 20კგ-მდე	ტონა		0,237							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	64,000	15,168	3,50	53,09					53,09
		მანქანები	ლარი	1,300	0,308					3,20	0,99	0,99
		ხასტანებელი დეტალები	ტონა	1,000	0,237			1560,00	369,72			369,72
		სხვა ხარჯები	ლარი	2,000	0,474			3,20	1,52			1,52
8	10-11-1.	სახურავის ხის კონსტრუქციების მოწყობა ანტისეპტირებით	კუბ.მ.		12,25							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	23,800	291,55	7,125	2077,29					2077,29
		მანქანები	ლარი	2,100	25,73					3,20	82,32	82,32
		ხის მასალა	კუბ.მ.	1,05	12,86			550,00	7074,38			7074,38
		ლურსმანი	კგ	7,2	88,20			3,50	308,70			308,70
		გლინული	კგ	4,38	53,66			1,19	63,85			63,85
		ტოლი	კვ.მ.	3,38	41,41			2,00	82,81			82,81
		ანტისეპტიკური პასტა	კგ	1,96	24,01			5,50	132,06			132,06
		სხვა ხარჯები	ლარი	3,440	42,14			3,20	134,85			134,85
9	10-10-1.	სახურავის შეფიცვრა	კვ.მ.		476,000							

	საბაზრო	შრომითი რესურსები მანქანები ფიცარი ნამოგ. სისქ. 40მმ სხვა ხარჯები	კგ.მ. ლარი კუბ.მ. ლარი	1,000 0,0225 პროექტით 0,0128	476,000 10,710 21,000 6,093	6,25	2975,00	550,00 3,20	11550,00 19,50	3,20	34,27	2975,00 34,27 11550,00 19,50
10	10-39-5.	შეფიცვრის ანტისეპტირება შრომითი რესურსები მანქანები პასტა ანტისეპტიკური	100კგ.მ. კაც/სთ ლარი კგ	0,610 0,020 4,000	4,760 2,904 0,095 19,040	3,50	10,16	5,50	104,72	3,20	0,30	10,16 0,30 104,72
	გუდაურის საცხოვრებელი სახლის №9 ბლოკი **B** აივნების მოწყობის დამატებითი მასალები და მათი სამონტაჟო სამუშაოები											
11	რ25-4-32.	ძველი აივნების დემონტაჟი შრომითი რესურსები მანქანები	მ□ კაც/სთ ლარი	8,800 4,800	3,900 34,320 18,720	3,50	120,12			3,20	59,90	120,12 59,90
10	46-18-5	აივნების მოსაწყობად კედელში ბუდეების ამოღება შრომითი რესურსები მანქანები	100ნახ. კაც/სთ ლარი	124,00 76,00	0,640 79,360 48,640	3,50	277,76	3,20	155,65			277,76 155,65
12	9-32-12გამ. საბაზრო გამოყენებით	აივნის ლითონის ელემენტების მონტაჟი შრომითი რესურსები მანქანები სააგტომზიდი ამწე 16 ტონიანი შველერი №16 შველერი №12 კუთხოვანა 63X5 კუთხოვანა 50X5 ა-III კლასის არმატურა ელექტროდი სხვა ხარჯები	ტონა ტონა ლარი მ/სთ ტონა ტონა ტონა ტონა ტონა კგ ლარი	1,000 18,400 0,35 პროექტით პროექტით პროექტით პროექტით პროექტით 24,4 2,780	1,688 1,688 31,059 0,591 0,324 0,704 0,308 0,032 0,320 41,187 4,693	750,00	1266,00	1820,0 1820,0 1580,0 1580,0 1470,00 2,80 3,20	589,68 1281,28 486,64 50,56 470,40 115,32 15,02	3,20 300,00	99,39 177,24	1266,00 99,39 177,24 589,68 1281,28 486,64 50,56 470,40 115,32 15,02
18	46-7-2	ამოტეხილი ადგილების შევსება წვრილმარცვლოვანი ბეტონით შრომითი რესურსები	კუბ.მ. კაც/სთ	19,600	0,800 15,680	7,125	111,72					111,72

		მანქანები	დარი	0,9600	0,768					3,20	2,4576	2,46
		ბეტონი " 20"	კუბ.მ.	1,020	0,816			150,00	122,4			122,4
		ცემენტის ხსნარი	კუბ.მ.	0,080	0,064			83,00	5,312			5,31
		ლურსმანი	კგ	2,800	2,240			3,00	6,72			6,72
		სხვა ხარჯები	დარი	0,5000	0,400			3,20	1,28			1,28
19	15-52-1.	A და D ფასადების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	კვ.მ.		225,000							
	საბაზრო	შრომითი რესურსები	კვ.მ.	1,000	225,000	6,25	1406,25					1406,25
		მანქანები	დარი	0,026	5,850					3,20	18,72	18,72
		ცემენტის ხსნარი	კუბ.მ.	0,0256	5,760			83,00	478,08			478,08
	კოდი1431	ხსნარტუმბო	მ/სთ	0,024	5,400					4,96	26,78	26,78
20	8-22-1.	ხარაჩოების მოწყობა და დაშლა	კვ.მ.		1450,0							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,458	664,100	7,135	4738,35					4738,35
		მანქანები	დარი	0,002	3,335					3,20	10,67	10,67
		ხარაჩოს დიფთონის დეტალები	ტონა	0,00037	0,537			1480,00	794,02			794,02
		ხის დეტალები	კუბ.მ.	0,00006	0,087			550,00	47,85			47,85
		ფარი ფენილის	კვ.მ.	0,0120	17,400			16,00	278,40			278,40
21	9-24-1გან	40სმ დიამეტრის საკვამლე მილი დემონტაჟი (13მ)	ტ		1,599							
		შრომითი რესურსები კ=0.6	კაც/სთ	31,320	50,081	3,50	175,3					175,28
	კოდი 0481	ამწე მუხლუნა სვლაზე 25ტ კ=0.7	მ/სთ	0,5180	0,828					30,80	25,5	25,51
		მანქანები კ=0.7	დარი	5,8030	9,279					3,20	29,7	29,69
		ელექტროდი კ=0.5	კგ	10,35	16,550			2,8	46,3			46,34
		დანარჩენი ხარჯები კ=0.5	დარი	1,39	2,223			3,20	7,1			7,11
22	საბაზრო	პარაპეტის შეფუთვა ბეტონპანის ფილებით	კვ.მ.		148,00							
		შრომითი რესურსები	კვ.მ.	1,00	148,00	18,75	2775,00					2775,00
		ბეტონპანის ფილები	კვ.მ.	1,09	161,32			18,00	2903,76			2903,76
		ალუმინის პროფილი	ცალი		96,20			7,63	734,01			734,01
		სხვა ხარჯები	დარი	2,40	3,838			3,20	12,28			12,28
		შესასვლელი კიბის მოწყობა მოპირკეთება.										
		ფიცარი	მ3	1,10	1,49	8,00	11,88	550,0	816,8	4,0	5,94	834,6
		ბეტონი	მ3	1,015	2,335	5,00	11,67	150,0	350,2	5,0	11,67	373,5
		ქვით მოპირკეთება	მ2	1,00	13,60	25	340,00	50,00	680,00	5,0	68,00	1088,00

		სხვა მასალები	ლარი	მან	13,60	2	27,20	15,00	204,00	2,0	27,20	258,40
		ჯამი					23031,6		45074,7		2316,2	70422,5
		სატრანსპორტო ხარჯი მასალაზე	8%								3606,0	3606,0
		ჯამი					23031,6		45074,7		5922,2	74028,5
		ზედნადები ხარჯები	10%				2303,2		4507,5		360,6	7171,2
		ჯამი					25334,7		49582,2		6282,8	81199,7
		ვეგმიური მოგება	8%				2026,8		3966,6		317,3	6310,7
		ჯამი					27361,5		53548,8		6600,1	87510,4
		გაუთვალისწინებელი ხარჯები	5%									4375,5
		ჯამი										91885,9
		დღგ	18%									16539,5
		სულ										108425,4

სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდი“-ს უფროსი

ბაბუა კილაძე

შ.პ.ს. „ალიანსი"-ს დირექტორი

თეიმურაზ კანკავა